

პეტრა, 16 პრილი 1917 წ.

რედარციის აღრისება:
თფილისი, ოლდას ქუჩა, № 6. ფასი 15 კპ.

მოსკოვის არაშენის განცხადება


№ 16

1917

შენ არ ხ. ფალსიფიკატორები—მორიელი. შარალა
კორო. პატარა ფელეტონი—ნაფიჩი ბრძნული სიტყვები
ნიკოლოზ მეორე. თხოვნა ეშმაკისადმი—ქახი. კრება—

გლეგი. გავლენა რევოლუციისა—სამართებელი.
კარიბი ურები. მეგობრები, პაციფისტი, „შევრ-
თებული“ სამინისტრო ახალი გვარი, ნაშთი.

2020 8 6 0 3 0



თავ. ორლოვი. ძიაჯან! მიკვირს რაზე ნალელობს თუ სიმართლეს ვიტყვით, ჩვენი
ცდომირეობა სულაც არ შეცვლილა: კაცებიაში ჩვენ საუზეს ვჭამდით, საქმეს
არაფერს ვაკეთებდით. აქაც მშოლოდ საუზეს ვჭამთ, და არაფერს არ ვაკეთებთ!

ცალსიციპატრჩიში

ი ს ტ თ რ ი ა .

„ეშტაკის მათრახის“ მე-15 ნომერში ჩვენ აღვ-
ნიშვნეთ „ხალხის ერთობის“ ხელმძღვანელთა ფალ-
სიფიციატორობა, როგორც ასეთი და გაკერით მო-
გვისენიეთ, რომ ქართველი „სოციალ-დემოკრატე-
ბი“ ბ-ნი იოსებ იმედაშვილის ჯურისა ცორა არ
იყოს ისტორიიდან ვერ არიან მაინცა და მაინც
ფაქტით გამოსული. ამიტომ ნება მებოძოს მე
დღეს, თანახმათ დაპირებისა, გადაფურცლო ეს
საისტორიო ფურცლები.

აი გადავშალოთ გაზეთი: „ლამპარი“ № 33.

31 მაისი 1906 წლისა.

ჩვენ იქა ვკითხულობთ:

„საპატიო ადგილი ფედერაცისტთა და კადეტთა
„გამარჯვების“ მიზეზთა შორის დაიჭირა ერთმა
გამარჯვებამაც არ ითავითა იუდა ისკა-
რიოტელის როლი*) ეთამაში. ეს გაგარინი
გახდავთ ტნობილი იოსებ იმედაშვილი, რომელსაც
თავი სოციალ-დემოკრატია მოჰქმნება და საშინაო
აშშოდა სადერდელი თოთონ აჩეულით დევის წევ-
რათ. სოციალ-დემოკრატია კა მას დაისათ არა
სწნობდა განვითარებულ წამოევებია და აა ამან
ათობის ამ პატიო მოუფრე მდბალ ასებაში იუდა-
სებური მთღალატერი ინსტიტები. ხექტებულმა
გამჭარინშა არჩევნების დროს ხელაზ ზურგი უწერა
სოციალ-დემოკრატების და მასზე მინდობილ ამო-
მჩეველ გლეხებზევაც გავლენა მოახდინა“.

აი, ისტორია ახლო წარსულისა. მას შემდგ
სულ რაღაც შეთერთმეტე წელიწადია.

ისტორიამ არ იყოს, თუ რა მოსახრებით უღა-
ლატე ქრისტეს ბ-ნმ იუდამ. მართლია, მაშინ პა-
ლესტინა რომის იმპერიას ექვემდებარებოდა, მაგ-
რამ არავითარი საპარლამენტო არჩევნების შესახებ
იქ ლაპარაკი არა ყოფილა. პირიქით კომისარი პი-
ლატე არც თუ დიდი აღტაცებით შეპეტებია იუ-

დას მიერ იქსოს გაყიდვას და მის დასჯას. თუ არა
უცდები, მან ხელიც კი დაიბანა. ყოველ შემთხვევა-
ში პატიო უცდებია იუდა ისკარიოტელს დეპუტატია
დაწუნების ნიადაგზე არ უღალატია ხალხისათვის,
როგორც გაზეთი „ლამპარის“ ცნობით ჩვენს იო-
სებ იმედაშვილსა. ამგვარათ მამოძრავებელი მიზეზი
ღალატისა აქ პატიომყვარეობაა, იქ კი თითქოს
ერცხლის მოყვარეობა იყო და მიუხედავათ ამ მი-
ზეზობრივი განსხვავებისა ჩვენ გვხიბლავს როგორც
ერთგვარობა მოქმედებისა, უგრივოვ ერთსახეობა
მოქმედ პირებისა.

დასაწყისი ისტორიისა თქვენ უკვე მოისმინდ. აწ ყური ათხოვეთ მის დასასრულსა.

გაზეთი „ლამპარი“ № 34. 1 ივნისი 1906
წლისა.

„ჩვენს პარტიაში ადმინისტრაცია — იოსებ იმე-
დაშვილი. მთგითხრობათ მის საზიაზდა დალა-
ტის ისტორიას“.

აქ მოთხოვთ ერცელი ისტორია იოსებ
იმედაშვილის ღალატისა პატიომყვარეობის ნიადაგზე:

„ხანგრძლივი თათბირისა და საბუთების წამოუ-
ნების შემდეგ ამს. ი. რაშიშვილმა დასტრათა იო-
სებ იმედაშვილის მთღალატება და უწინდება მას
„გაგარინის გაპირი“. კრებაში მიიღო შემდეგი რუ-
სოდლიცია: „ამობრიეგვლთა და ამხსნავია ზგშეფი
ცნობს რ იმედაშვილს ნაშევილ მოღალეობებთ, ად-
გენს: გამოუსადოს მას თავისი ზიზდი ბოიკო-
ტით და განდევნოს რ. ს. დ. მუშათა პარ-
ტიიდან, როგორც გამყიდველი იუდა და ამ-
ხანგრძლის საზიაზდა მოღალატე“.

ამგვარათ ფარდა ეხდება იოსებ იმედაშვილის
დღევანდელ მოქმედებას. ის იჯმნა როგორც მო-
ღალატე და ამხანგრძლის გამყიდველი რ. ს. დ. მუ-
შათა პარტიიდნა. მას იქ აღვილი არ შეიძლება
ექნეს, როგორც მოღალატესა და ამხანგრძლის ნღო-
ბით ნოვეტრებს. ის სწორეთ ამიტომ დაიარსა მან
თავისთვის და მსგავსთა მისთაოფის საკუთარი „ქარ-
თული ს. დ. პარტია“. ის სწორეთ ამისთვის გა-
მოსცა მან ახალი გაზეთი „ხალხის ერთობა“.

მაგრამ ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია! იო-
სებ იმედაშვილი ახლაც ატყუებს და ღალატობს
ხალხს. თავისს „სახალხო ერთობას“ მან ნიპარევი
ლომუნები დაწურა: „პროლეტარებო ყველა ქვეშ“

*) „თივაში ცეცხლი არ დაიმალება“ ნათევამია. ჯერ
კიდევ ცხრას ექვს წელში ერყობლი ნიკი მასინმაცისა ბ-ნ
ი. იმედაშვილს, თუნდაც იუდა ისკარიოტელის როლებში.
შემდეგ ხომ ის სათავეში ჩაუდგა ჩვენს „მელპომენას“.

ნისა, „შეერთდით“. თუ მართლა სახეში ახალი, თავისი პარტიის დაარსება ჰქონდა, უნდა წაეწერა: „მოდალაგენო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ „შეძლება უკიდურეს შემთხვევაში ეს მოწოდება შეესწორებია მას თანახმად ივანე გომართლის სურ-გილისა და დაწერა: „რენეგატებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ამ შემთხვევაში ისტორიაც დაული იქნებოდა და სამართლიანობაც. არა გვაქვს საკმაო საბუთი ასეთი საქციელი „ხალხის ერთობის“ იყორითა, მათი სიმორტბევით აეხსნა. ამიტომ ჩენ თითონ მოკუროდებთ:

„რენეგატნო და გამცემელნო სრულიად საქართველოსა, შეერთდით!“, რასაკირევლია გაზეთ „ხალხის ერთობის“ გარშემო!

მოჩიელი.

P. S. № 1. მიღებულია ზომები გადაითურცლის ისტორია ბ-ნ გომართლის შესახებ და შედეგი მისი ახლო მომავალში მოხსენდეს საჯოჯოხეოს.

P. S. № 2.—მოგვასწრო!

— ვინ?

— გ. ქუჩიშვილმა.

ის გაზეთ „ერთობა“-ში აცხადებს, რომ მას გაზეთ „ხალხის ერთობასთან“ არაფითარი კავშირი არა აქვს, რომ ლექსი „ზევსური“ გადასცა მან ი. იმედაშვილს უურ. „თეატრი და ცხოვრებისათვის“ და უყვირს თუ საიდან გაჩნდა ლექსი „ხალხის ერთობაში“.

ჰმ! უთუოდ ძლიერ გულუბრყეილია ჩვენი საყვარელი მგრასანი გ. ქუჩიშვილი „ეშმაკის მათრახის“ რედაქტიას არჩეული ჰყავდა კომისარი გ. ქუჩიშვილთან გასაგზავნათ, რომელსაც უნდა წაეკითხა მისთვის შეძლებები:

მათ გითრგი! (ფსევდონიმით ქუჩისაშვილი)

ამა რასა ჭგანს ეს აშავი, გვაქვები უმწვიდო:

რა უნდა იქა შენთა დექტენს, ტაქ-ზევსურებს,

სად მოდალაგენო-რენეგატთა გსტერეტო გრძელთა

შეძლებს?

მაღლობა ჯოჯოხეთს, რომ კომისარის გაზავნა საჭირო აღარ დარჩა და თვით გ. ქუჩიშვილმა დავგვასწრო.

— ლი.

ჭ ა რ ა ლ ე ბ

ზოგიერთ ჩემსა მკითხველსა |
მძლავრ ნაყვარება შარალა...
(რა იცის, წერა იმისი
თუ მაქვს დღეთ გასამწარადა!)

პირველი სიტყვა ნოტია
„დოს“ მიჯნათ მინაყოლები,
მი-ფა-სოლ-ლა-სით ზემოდან
დანატვირთ-დანაქოლები.

მოკლე სიტყვაა, როგორაც
სხვა მისი ამხანაგები.
(უმისით ძნელათ მოხერხდეს
სიმღერა მწყობრათ ნაგები.)

მეორე სიტყვა სამხედრო,
აღნიშნავს ურიცხვ ჯარებსა...
(იმისი ცოდნა მოჰკითხეთ
ქველ ქართველ საბათოარებსა).

მოკლე სიტყვა, სხარტული,
მაგრამ სრულ არა გვეირია,
ხმოვანი ასო იმისი
არს ჩვენგან გასაწირია.

მესამე სიტყვა, ცნებაა
ჩემი უსაზღვრო ტრუობისა.
მე სიყვარული იმისი
საფულავშიც თან ჩამოყობისა.

არეა ვრცელი, სახისა
სიმშვიდე შემამკობელი...
შეხედავ, მყისევ შეატყობ
თავი რისა პპყრობელი.

ზოგს უჩანს ფართო, მაღალი,
მსგავსად სალი კლიის, თლილისა,
ზოგს ვიშრო, დაფერდებული,
(მსგავსათ იმედაშვილისა).

ძირს საზღვრათ უძევს წარბები,
ზემოთ თმა, ფერად გოურისა,
(ვინც შარალისთვის მზრუნველობს,
ის პირველ ასოს მისჭრისა).

ჩვენთვის ოთხია საჭირო,
პირველი ასო ჭარბია...
(ხელმარჯვეთ უნდა ჩამოქრა,
არ მიაყოლოთ წარბია).

—
ერთი პატარა ნივთია,
ფოლადის (ბატის ფრთისაცა!)
(ღმერთმა მას მისცეს დღე გრძელი,
უქრიდეს იგი ვისაცა!)
ექვსი ანბანი შეადგენს
იმის მშვენიერ სახელსა
(ჩვენ წინა ორი გვჭირია,
სხვას კი მივუშვებთ მსწრაფლ ხელსა).

—
აი, აშენდა, დამშვენდა
სასახლე ჩვენი უბადლო...
არ ვიცი, ვფიცავ თქვენს სახელს,
მუშას, თუ სალდაც ვუმადლო.

არ მოველოდით ჩვენ იმის
არცა საძირკველს, არც ჭრისა,
არც კედლის ასაშენებლათ
მცირე აფურის ნაჭერსა.

მას ჭარიშხალი დაჭჭრილა,
შევი ღრუბელი ებურა,
ორთავიანი მტაცებლის
თავზე გვირგვინი ეხურა.

აკრძალულ იყო არა თუ
„რეალი“ მისი შენება,
არამედ ზეპირ სიტყვაში
მისი სახელის სსენება.

მაგრამ დრო მიდის, ისწრაფის,
წელნი წელთ თანა ჰყობიან,
ზღუდენი მთავრობაძეთა
ულმობელ დაქმობიან

და მათ ნანგრევზე შეხედეთ
გულთა ჩვენთ გასახარადა
შენდება უცხო სასახლე,—
ეს ჩვენი ტურფა შარადა.

კოლო.

ვატარა ფელეტონი

ისტორიული სისულელე.

დიდი და ცნობილი პირები თავისი სახელი
უკვდავ საყოფათ და ისტორიაში გასამკითხებლათ
ხანდისხან წარმოსთქვამენ ხოლმე მრავალმნიშვნე-
ლოვან „ისტორიულ“ აფორიზებს.

მაგრამ მოხდება ხშირათ ისიც, რომ ისტორია
მხიარულ ხასიათზე მოვა და სასაკლოდ იდებს
დიდ გვამთა ისტორიულსა და მრავალმნიშვნელო-
ვან თქმულებებს. ამგარ მომენტებში ისტორიული
პირები „ცოცხალ გვამებათ“ იქცევიან და მათი ის-
ტორიული აფორიზები კი ისტორიულ სისულე-
ლე.

22 წლის წინეთ, მეფეთ ყოფილმა ნიკოლოზ
რომანოვმა, ლიბერალებს შესახებ წარმოსთქვა:
„ზოგიერთა მათგანს თავში დაპატიჟება უაზირ
ოცნება სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობისა“¹.
დღეს კი ნიკოლოზ რომანოვი, როგორც ძველი
დროის უპასპორტო ებრაელი, ზის ტყვეობაში და
ოცნებობს იმაზე, თუ როგორ გაუქცერს ხელიდან
მცველებს. აი ნიმდვილი „უაზირ ოცნებობა“.

„ასე იყო, ასევე იქნება“—ო, წარმოსთქვა
ლენის მუშათა ულექის შემდეგ მინისტრმა მაკა-
როვმა. რა იკოდა მან, თუ მოხდებოდა ისეთი
რამ, რაიც არასოდეს არ მომხდარა? დღეს ზის ყო-
ფლი მინისტრი პეტრე-პავლეს საპყრობილებში და
და ფიქრობს შესახებ იმისა, თუ როგორ იყო ძვე-
ლათ და რა მოხდება მომავალში.

ერთხელ ცნობილმა მინისტრმა სტოლიპინია
დუმის ტრიბუნიდან მემარცხენე დაჭურატებს გა-
დასხახა: „თქვენ გსურთ დიდი რევოლუცია, მე კა
მინდა დიდი რუსეთი“ ² ა. სტოლიპინი მოჰკლა მის-
მა მოსახურებრე და ის ძეგლი, რომელზედაც ეს
„ისტორიული სისულელე“ ეწერა, რევოლუციო-
ნურმა ხალხმა აღვავა.

„ჯერ დაწყნარება და შემდეგ რეფორმება!—
გაიძიხოდა შერაზმული მთავრობა. ეს ნიშანებს:
ჯერ საველ-სამხედრო სისამირთლოები და შე-
დეგ პროტოპოპოვი. ისტორიაშ სხვაგარი წამილ-

გამოუწერა რუსეთს განსაკურნავათ. ჯერ აღმფო-
თება და შემდეგ რევოლუცია.

ძევლათ ცნობილმა გენერალმა დრაგომიროვ-
მაც გადმოისროლა ერთი „ისტორიული“ აფორიზ-
მი ჯარის შესახებ: „ჯოგი რუსი პირუტყვებისათ“. ას-
ას იტყოდა ნეტავ გენერალი დღეს როს წითელი
რევოლუციონური ჯარისათვის შეეხედა!

„უკაცრავათ, ჩეენ რუსეთს უბრძოლველათ
ვერ დაგითობთო“, წარმოსთქვა დუმაში ცნობილ-
ში შავრაზელმა მარკოვ მეორემ (ესც მეორეა!)
ახლა ეს გმირი მებრძოლი სადღაც მიმალა და ვინ
იცის, იქნებ ემზადება რომ ბრძოლით დაბრუნოს
რუსეთი... რუსეთისაგან.

„მადლობა ღმერთს, ჩეენ ჯერ არა გვაქვს
პარლამენტი“, მედილურათ წარმოსთქვა ყოვილმა
მინისტრმა კოკოვცემა. „მადლობა ღმერთს, ჩეენა
გვაქვს დემოკრატიული რესტაურაცია“, უპასუხა
ბს ისტორიაში.

და თუკი სცოდნოდათ „ყოფილ“ აღამიანებს,
რომ ისინი ასე მალე გახდებოდენ „ყოფილ“ ადა-
მიანებათ, არც შეიწუხებდენ თაგს ამგვარ „ისტო-
რიულ“ სისულელეთა თხზულებით. (რაბ. გაზ.)

ნაციი.

გრძნული სიტყვები

ნიკოლოზ მეორისა

რუსეთის მწერლობაში არ არის საკითხი, რომ-
ლის შესახებაც ისეთი გარკვეული აზრი და სრუ-
ლი თანხმობა სუფევდეს, როგორიც არაებობს მე-
ფედ ყოფილი ნიკოლოზ მეორის სიტყვათა შესახებ-
სიტყვებს ყველა დროისა და ყველა ქვეყნის
გვრცვინოსნები ამბობდენ, მაგრამ ისეთი ღრმა აზ-
რი, ისეთი სხვადასხვაობა, ისეთი შორსმჭვრეტე-
ლობა, როგორიც ნიკოლოზ მეორის სიტყვებში
მოსჩენეს, ჯერ გვირგვინოსნთაგან არავის გაუგონია.

გაისმის მხოლოდ ერთი საყველური, (თუმცა
ესც საერთოდ) რომ მეფედ ყოფილის სიტყვები
უმთავრესად იწყება: „მე გვსამი!“ ეს მართლაც
რომ ასეა, მაგრამ ვის არ ახსოვს ისტორიული
სიტყვები დიდი მთავრის ვლადიმირისა, რომლი-
თაც მან გაისტუმრა მაპმადის სარწმუნოების მო-
ცქულნი და საქსებით ეუფლა მართლმადიდებლობას?

მართლაც ახირებულია ეგ საყველური მთელი
რუსეთი „სეამდა“ იმ ნეტარ დროში, სვამდა თავ-
დაგიწყებით, დღიან-დანიან და ნუთუ მეფეს უნდა
დღალატნა ამ ტრადიციისათვის? ჩვენი ღრმა აწმე-
ნით, სწორეთ ამ „სმაში“ გამოიხატება მთელი სი-
დიადე და თავისებურობა ნიკოლოზ მეორის სიტყ-
ვებისა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ მკითხველი თა-
თონაც ჩინებულათ დააფასებს იმ სიტყვიერ განძს,
რომელიც დასტურა ძეირფასმა მონარქმა თავისი
სანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ.

პირველი სიტყვა ნიკოლოზ მეორემ წარმოს-
თქვა 1894 წლის 31 ოქტომბერს ქ. მოსკოვში.
თავად აზნაურთა, ვაქეართა და სახელმწიფო დაწე-
სებულებათა წარმომადგენლებს მან შემდეგი სიტყ-
ვებით მიმართა:

„მიმისმ მოსკოვში ყოფნა, რომელიც ასე
უყვარდა ჩემს დაუვიწყარ მამას. მაგრამ მე და
დელფილი ნუვიშა გვივებთ ცრემლებში,
რომლებსაც ღვრის მთელი რუსეთი ამ განც-
ლის დღეებში. ღმერთი იყოს ჩემი შემწე, რათა
ვემსახურო ჩვენს საყვარელ სამშობლოს, ისე,
რობორც ჩემი ცხონებული მამა“.
(„მთავრ. მოამბე“ 1894 წ. № 239).

17 იანვარს თავადაზნაურთა, ერობათა და
ქალაქების წარმომადგენლენი შეირჩინებ მეფის სა-
სახლეში. მეფე მათ შემდეგი სიტყვებით მიესალმა:

„მე მოხარული ვარ ვიხილ ყველა წოდება-
თა წარმომადგენლენი, რომელიც უქვეშვრ-
დომილები გრძნობის გამოსათქმელათ მოსუ-
ლან. მრწმეს ამ გრძნობათა წრფელობა. მაგრამ
ისიც ვიცი, რომ ზოგიერთ ერთბაში ამ
უკანასენელ ხანებში გაისმოდა ხემბი ზო-
გიერთ უაზრო შეოცნებეთა, რომელიც
მოუწოდებენ ერობათა წარმომადგენლებს
მონაწილეობის მხასაღებათ სახელმწიფოს
მართვა გამგზობის საქმეებში. დევ ყველამ
იციდეს, რომ მე მთელ ძალ-ღონეს ვაშმარ
ხალხის კეთილ დღეობას და თვითმშერობე-
ლობას (ხაზი ჩვენი გასმულია) დავიცავ ისე
მტკიცეთ, და შეურყევლათ, როგორც მას
იცავდა დაუფიწყარი ჩემი მშობელი“. (მთავ-
რობის მოამბე 1895 წ. № 14).

15 აგვისტოს ავტორის იმპერატორ ფრანც

იოსებთან ნიკოლოზი სტუმრათ იყო. სადილის დროს სპასუხო სიტუაციი სთქვა:

„მადლობას გწირავთ, თქვენი უდიდებულესობავ, იმ პატივისათვის, რომელიც გამოწიეთ.

მე ცხვამ სადლეგრძელოს აქსტრიის მეფისა და დედოფლისა“. (მთავრობის მოაშპ 1896 წ. № 180).

პრესლავში (25 აგვისტოს) იმპერატორ ვილჰელმის საპასუხოთ ნიკოლოზი სთქვა: (ფრანგულით).

„გმიდლობ, თქვენი უდიდებულესობავ, წარმოთქმული სიტუაციისათვის და აგრეთვე იმ პატივისათვის, რომელიც მე შეკით პრესლავლ-

ში შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მე იმავე ტრადიციული გრძნობებითა ვარ გამსჭვალული, როგორც თქვენი უდიდებულესობა, ვსვამ თქვენი უდიდებულესობისა და დედოფლის სადლეგრძელოს. ურა! (მთავრ. მოაშპ 1896 წ. № 188).

პარიზში, 25 სექტემბერს 1896 წ. პრეზიდენტთან სადილობის დროს მეფემ სთქვა:

„ცხვამ საფრანგეთისა და მისი პრეზიდენტის სადლეგრძელოს“. (მთავარ. მოაშპ 1896 წ. № 211).

9 ნოემბერს 1896 წ. ლეიბ გვარდიის ეგერთა პოლკის დღესასწაულზე მეფემ სთქვა:

„ცხვამ სადლეგრძელოს სახლოვანი ლეიბ გვარდიის ეგერის პოლკისას, ურა!“; (მთავრ. მოაშპ 1896 წ. № 247).

29 ოქტომბერის 1896 წ. ნოემბერების პოლკის დღესასწაულზე მეფემ წარმოსათქვა:

„ცხვამ ჩემი ძვირფასი პოლკის სადლეგრძელოს, გაგმიარჯოთ ბატონებო!“ (მთ. მოაშ. 1896 წ. № 261).

15 იარილის 1897 წ. აქსტრიის იმპერატორის მიღების დროს სადილზე მეფემ სთქვა:

„ბელიერი ვარ თქვენი უდიდებულესობის აქბრძანებით, რომელიც სიუკეთესო თავდებით იმ წრფელი მეგობრობისა, რომელიც ჩვენ გვაერთობს. მე ცხვამ სადლეგრძელოს თქვენი უდიდებულესობის, დედოფლისა და მთელი თქვენი ოჯახობისა“. (მთ. მ. 1897 წ. № 84). სიამის კაროლს სადილზე 22 ივნისს მეფემ მიმართა:

„ცხვამ სადლეგრძელოს მისი უდიდებულესობი, სიამის კაროლისას.“ (მთ. მ. 1897 წ. № 139).

26 ივნისს გერმანიის იმპერატორს სადილის დროს უთხრა:

„თქვენი უდიდებულესობის და თქვენი ოჯახობის სტუმრობა ფრიდ დიდ სიამოვნების იწვევს ჩემში. ეს თავდებით ჩვენი მეგობრული განწყობილებისა და კეთილ მეზობლური განწყობილებისა. მე ცხვამ სადლეგრძელოს მისი უდიდებულესობის გერმანიის იმპერატორისა, მისი მეუღლისა და ოჯახობისა“. (მთ. მოაშ. 1897 წ. № 166).

11 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტს ფრენუს სადილზე შემდეგი სატუკებით მიმართა მეფემ:

„ცხვამ თქვენს სადლეგრძელოს, პატონო პრეზიდენტო, გაუქარჯოს საფრანგეთს“. (მთ. მ. 1897 წ. № 178).

მოსკოვის თავდაზნაურთა წინამდებლობის სადლეგრძელოს საპასუხოთ მეფემ სთქვა:

„დედოფალი და მე გულითად მადლობას გწირავთ მიღებისა და პატივისცემისათვის. ცხვამთ თავადაზნაურობის სადლეგრძელოს და ვუსურევებთ მას კეთილდღეობას და იყვავებას, ურა!“ (მთ. მ. 1900 წ. № 84).

(დასასრული იქნება)



თემის იმპაზისაზე


(წერილი ტრაპიზონიდან).

ბ-ნო ეშტაკ! მართალია ეს ლექსი განსევნებული მთავრობას სიცოცხლეში დაწერილია, მაგრამ მის უდროვოთ გარდაცვალებას არაფერო ცვლილება არ მოუზღენია*). მუშების მდგომარეობა ჯერ-ჯერობით ისეთივეა, როგორც იყო და დარჩება კიდევ რა-მოდენიმე ხანსაც, ხოლო მიმოსვლის და „პრაპუსკების“ საქმე არა თუ გაუმჯობესდა, პირიქით უფრო გაძნელდა და გაუარესდა. თუ უესაძლოთ სცნოთ გთხოვ დაბეჭდოთ.

ამბობენ: «ჩაჩმა თუნდაც რომ გასძლოს იმდენი წელით
მეტი სიმერით სამათაც რომ მოგბაგოს წელით,
თანახმათ ტრადიციისა ის მანც ისე გვდებათ,
რომ ვატიგანის სასახლეს გარეთ ვერ გახცილდებათ».
ახლა შენ, ჩემთ ეშტაკ, შეგვთხავ ერთსა რამესა:
(ნუ იუცხოვებ ამ კითხვას, ნურც იწენ სითბამესა)
რომ ვერ შორდები ამ თურილის, ხარ ვთ ტაქე დამწევდეულია,
ერთი მიბრძანე, ხომ არ ხარ მანდ ჰაბად არჩეულია?
რა გიშირს, მიხვიდ-მოხვიდე, ნახო ვინ რისა ქწელია,
ვინ ეტრუის მსისა სინათლეს, ან და ვის უმარს ძნელია?
კი, თუმცა კორესპონდენციან მოგდის ცნობები ხსირია,
(მხდლობა ღმერთსა, შენ მათი მომებნა არა გვირია.)
მაგრამ ხად თუალით ნახული, ხად სხვისი ნაამბობია,
ხომ იცი, ასჯერ გაგონილს ერთჯერ ნახული სჯობია.
ჭო და გთხოვ ახლა როგორმე ჩვენთაგნ გამოიხრო,
და ჩვენი ჭირო-ფარამი ცოტა შენც გაიზიარო.
მსოლოდ გახსოვდეს, თუ კი რომ იქმნე აქეთგუნ მსგალელია,
ესე სამუზავრო პროფრამა არ დაგრძეს უსწავლელია:
ჩათცვი მუშის ხალათი, (გაიმვრე ჰიდეაგ-ფრაგია)

*) მსედველიაში მაქს შხოლდ ტანაზონში შეთვი შუშების მდგომარეობა.


ზ ა ც ი ფ ი ს ტ ი



ამერიკელი პაციუისტი მისწოდომის ეგროპისაკენ, რათა ჩააქროს
ოშის ცეცხლი.

სოფლელი გლეხის კილოზე დაიწევე ლაპარაკია.
არ გინდა ბარი, ნიჩაბი, არცა წერაჭები-თონია,
შეპარი ძველი სასანი, შეგ გაუვარე ჯონია,
გაიდე მხარზე, წამოდი ვით საქმის მაძებარია,
ვით შინ გრებოდეს მშიერი ცოლი და ექვირ ბდარია.
სადგურზე მოდი, აიღე ბილეთი ბათუმამდია,
მესამე კლასში ჩაჯერი მეორე ზარის სმამდია,
ბევრი მეგზედება გზა და გზა «ძმაკაცი», მეგობარია,
სათნოებითა «აღსავსე» ენა ტებილ მოუბარია,
თუ ვინმემ გითხრას გაუოლა, არავის დაუგე ნებას,

„სატირიკონი“



ყოფილი მინისტრი. აი ახლა გავიგე, თუ რას ნიშნავს «შექმნა-ბუღალტებამინისტრო».

ა ხ ა ლ ი ბ გ ა რ ი



იგანე გომართელი. ხარისხი ახლა რომელი გვარი უნდა ატაროთ? იოსები იშედაშვილი. არ იცი? მაშა ახლა მაინც დაიმახსოვრე კარქა მე ლე-ონიძე ვარ. იმანაც ცოტა წაუღალატა „სამშობლოში“ და სრულიად წმინდათ არც ჩემი საქმეა.

თორებ ელოდე თფილიშძი გაუცემნილი დაბრუნებასა.
ნატანებს ქვევით მოგკითხავს «პროცესუსა» გზისა მთავრობა,
შენ კი მის უქონლობისთვის ოდნავ არ იწუო მჯავრობა,
ერთსა ხუთიანს აჩუქებ იქ ვინც წესრიგის მცველია,
და ასეთ ზომის მოევება შედეგი სასურველია.

როცა ჩამოსუალ ბათუმში უშიშრათ, არსეინათა,

იქ დარისპანის «ნომრებში» მიდი უთუოდ ბინათა.

თუმც ბევრი სალხი დაგზვდება, მაგრამ შენც დაუტევდა,

იქ ძლიერ კარგი ბინაა დამისა გასათვება.

ლოგინი სუფთა გექნება, არ მოგვცხება ჩირქია,

ქვეშ კარგი სუფთა ცემენტი, სასოფლოდ მსხვილი ჯირკია,

და შენი ძველი საბანი ზევიდან სასურავად

(მხოლოდ ზეწარი გევლება, ამაზე ჟერცორავადა.)

საჭმელი ნაირ-ნაირი, გინდ ცივი, გინა ცხელია,

ფასი ხომ ჩალის ფასია, არც კია გასამსელია.

აქ ნახავ ბევრსა აღებსა დან-კისერ ჩასუქებულსა

მუშების ტეავის მრობაში მრავალ გზის უბიშ ქებულსა.

აგრეთვე ბევრსა მუშასა აქედან გამოსულებსა,

ტრანზონისა მოდაზე კუდამდის გაქუცულებსა.

აქედან კიდევ ჩევნამდის შენ კვლავ «პროცესი» გჭირია.

(ოჟ იმის მოძვონს ვაუჩენდეს აზის შავი ჭირია.)

დაწეუ «სტროიტელსტრომი» ეოგელ დღე სიარულია

(იქ ერთხელ მისვლა არ კმარა, ოცი დღე გინდა სრულია.)

თუ «აჭმევ» ბლომათ იქ იმას, გისაც რომ საჭმე ესება

მეოცე დღეზე როგორმე ეღირსო «პროცესს» ეგება.

როცა გამოსუალ «პრისტანზე» იქ არის ერთი კაცია

მოხელის როლსაც ასრულებს, ტაზე მუნდირი აცვია.

ცხვირი აქვს უნაგირივით, თვალები როგორც ქორია,

ფეხები კარიგატურის, ღიან ვით მაშეა ღორია.

სდგას იგი გემის კიბესთან და მასზე ამსვლელ მუშებსა

თითო თუ მაგრა არ წაჲკრა, ისე არავის უშებსა.

შენც ვერ ასცდები ამ სასჯელს, მაგრამ იეავი ჩუმათა,

(ვინც დასძრა კრინტი, მას ერთხე სხვაც ბევრი წამოუმატა.)

როს ახვალ ზეგით, ნახარჯის იქ შეადგინე ჯამია,

ნახავ, რომ მთელი ორი თვის მოგება შეგიძამია,
 (შენსაყით ეველა მუშებსა, ვინც აქეთ მომავალია
 გაცდენის გარდა ედება თოთოს ამდენი ვალია.
 მაგრამ არ სწორან არაუერს, მოღიან უდარდელათა
 ფიქრობენ ნაცდენს და გზის ხარჯს აქ მიღებენ მთელათა.
 თუმც ჭირდებიან აღები (ამლევენ «მტკიცე» სიტუაცია)
 ნახეუარ ქირის მიცემას ხარჯის არ გამორიცხვასა,
 მაგრამ არაა მართალი არ მოკვდეს ჩემი თავით
 ჭირია ისევ მათგანვე მოგონილ შენათზაფია.)
 აქ თუ ცოცხალი გამოხველ, საქმე «თუ»-ზეა იცოდე
 და გერ დაგიხვდე ჭირ შეგფერს, უკანასკნელი მიწოდე.
 ნაერთსადგურდან წაგიუან ნესტორის «სასტუმროშია»
 იქ ისეც წაგალთ იოლად თუნდაც არ მქონდეს კოშია.
 ესეც არ იყოს, თუ კინდა, მანც აჯობებს ასეა
 რადგან აქა გვაქეს ჩვენ «ბირჟა» და «პერესილნი ჩასტია»
 აქ შენ ბეჭრს ნახავ მუშებსა ასლობლებს-შორეულებსა
 იმედებ გაზრდულებულებს, თვალზე ცრემლ მორეულებსა.
 ბეჭრსაც სახლისკენ მიმავალს, ტასელში ამოძლილებსა,
 და აქვე კეშის ლოდინში ჯიბებ გამოცლილებსა.
 იმ დამეს მათი ეურებით გაიგებ უკმა, მგონია:
 რას წარმოადგენს, რას ნიმნავს მუშისთვის ტრიაბიზონია.
 მეორე დილას კი აქვე დაგტოვოთ შენი ბარგია,
 გავითდეთ ქნახოთ ბულვარი ეს ჩვენი «ჭადარკია»
 აქ არის სალსი მრავალი გიორგიელთა ტომია,
 რიგი ჯგუფ-ჯგუფათ მაფალი, რიგიც სკამებზე მჯდომია.
 ზოგს ერთვნულათ აცვია, ზოგს ხურავს ცილინდრულია,
 გთხოვ რომ იცნობდე ეს ხალსი გახლავს აღების ჯოვია,
 აქვეა ქაფე «კრისტალი» მშექნივრათ მოწეობილია,
 შიგ გარგი უაფა, რძე, ჩა, და «პიროვები» ტკბილია.
 ად აქ არის იცოდე მათი «გლავნი» შტაბია
 გისაც რომ ჩვენსა გაფცევნაში «მასივი» გოგრა აბდა.
 შევიდეთ შიგნით იქ მეოუთა ბაასს დაუგდოთ უკრია,

თანაც ესვათ «მეტალიკასი»*) ვით კარგი მონაწეურია. გნახავთ: ზოგს სალაპარაკო საგნად აქვს მსოლოდ ქალია, ზოგს «ატკოს-პოვონ-კუბიკი, გორისონტ-უერტიკალია.» ზოგი ან აქებს ინჯენეებს, ან არის ძაგებაშია, გინაც ასრულებს მთავარ როლს მოგება წაგებაშია. ან მუშა ზედმეტ შრომაში ვის უფრო დანაღვლებია, ან საღაური მათგანი აღვილი გასაუვლეფია. სამი საათი აქ უოფნით შენ უმვე გეცოდინება მთელი ამათი «სეკრეტი» თუ ვინ რას ეპოტინება. ან და რომელი მათგანი საჯოჯოსეთო გვამია გაიმერობით ცნობილი და სასელ განათქმაშია. შემდეგ კი წასულა სჯობია დაყკრათ მესამე სარია ავდგეთ და გამოვისუროთ კაფე «კრისტალისა» კარია. დაქსტოვოთ ესე ქალაქი, გქნათ სოფლისაკენ პირია ენახოთ იქ მეოფი მუშები რა «სორტი», რანაირია. აქ კი მეტწმუნე დაგხვევება ისეთი სურათებია, რომ მეტი სისარულისგან გამოვესხმება ფოთებია. უთანსმოება ურთ-ერთში, მტრობა-ქიმიკობა, შედლია, თვისი „მე“ ანსოფს უველასა, სხვას თუნდ თავი ქვას უსლია. არიან ჰატარ-პატარ ჯგუფებათ დაუთვილია მათგანს ვერ ნახავ, რომ იუს მეორით კმაულფილია. სიდი, კაფშირის, ერთობის მათ შეა ჩატესილია, მმობა და სოლიდარობა იმათვის უცხო სილია. არც ის გეგონოს, რომ ვითომ ცცოდენ სტუმრის ეადრია და როგორც მუშა ახალი მოილონ შენი სათრია. თუნდაც რომ იუთ სიციფით გათოშილ გაუინულია სამი დღის უჭმელობისგან ვიღონდებოდეს გულია, არ გექნეს მათი იმედი, ნუ ფიტობ ნურცა ელია, ჭირში მეოუ მომეს რომ მშურად გამოვიწოდონ ხელია. სხვა და სხვა აღის «ქვეშევრდომთ» ისე სწამთ ერთმანეთია, ვით ოთხთა შეთანხმებასა აგსტრიბა-გერმანეთია. ალთას რომ მდგრის გიგოლა, ბალთას მიღწევს მათია.

*) შეტალიკასი—რკინის წესლია, რომელიც აქ უფეხ საუკენა და რესტრანებაში იუიდება.

«გათიშვა დანაწილება!» აი დევიზი მათია.
 ასე რომ მეტი მათგანი გამსდარა მონა შენია,
 ვისოდესაც დიდხანს დიდა ჯოჯონეთისა ბჭენია.
 სხვა წერილმანებზე აღარ ღირს წერა და ლაპარაკია,
 შენი თქალებით იხილავ აქეთ გამოხვალ რაჭია.
 შემდეგ კი შრომუსებს აფილებ (ძედი გქონდეს ჩემია)
 და შენი გუდა ნაბადით მოვინახულოთ გემია.
 გჩის მშედობისას გისურები, დიღინ-დიღინით წადია,
 მეტს აქეთ არც კი მოიხედ მრავალი წელიწადია.

კახი.

P. S. ლექსი უკვე მზათა მქონდა მე ამბავი მომიզდებ
 რამაც შეებით სავსე გულზე ცეცხლის ალი მომიკიდა
 «ბიუროგრაფი მთავრობოვი და ცენტოროვ ცენტორით
 დაგვეხოცენ, დავიღუბეთ აღარა გრიგავს ეს ორიო.»
 ეშმაკოლო-მორიელო, გიცხადებთ ჩემს თანაგრძნობას
 ვფრიდავ მთელსა ჯოჯონეთსა, ვფრიდავ თქვენსა ერთგულ მმობას,
 რომ ამ ცნობამ, საზარელოს, მეც თქვენსავით დაძალონა
 და თქვენსავით ცრემლებს აფრიცევს უძღბლესი თქვენი მონა.

კახი.

პ რ ე ბ ა

სცნა I მოქ.

მომქმედი პირნი:

1. თავმჯდომარე
2. ელაპაძე (დოთი)
3. მეზურნე
4. იზვარშვილი
5. კარმანჩივი
6. მიგიტანი

(კრების უმრავლესობას შეადგენს დათები)

ყლაპაძე. ცველა ხარობს და იცინის;

- მტერ-მოყვარე, მამა, შეილი,
 ჩენ კი კუთხეს მიგდებული
 ვდგვივართ გულხელ დაქრეჭოლი!

—

დღე დღეს მისდევს, კვირეს კვირე
 და თვეებიც მარდაო გადის,
 მაგრამ ამ ჩენ სტომაქებში
 წვეთი ღვინო აღარ ჩადის.

სული შუოთავს და გული სწუსს,
 კუში გახმა, გაიფიტა,
 დალნა ქონი, გახმა კანი
 და გავთხელდით, ვით ფირფიტა.

საქართველოს შვილები ვართ,
 ქრისტინი, გვცხია ზეთი,
 როგორ გავძლოთ ჩენ უდიანოთ
 ისე რომ არ ვყლაპოთ წვეთი?

ეთხოვოთ ნოვი „პრავიტელსტეს“,
 მოგვცეს ლვინის ყიდვის ნება,
 ნეულელი, შეგობრებო,
 არ გსურთ ჰირის გისკვლება?

მიკიტანი. მართალი, ვაშა, ვაშა!
დაიყვირეთ, ხალხნო, პრავა!
თუ ყველანი ერთაო ითხოვთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.

მეზურნე. (ლოთებს)
თქვენ ტაფაში ვიწვით ჩვენცა:
მეარღნე და მეზურნები,
მხარი მივცეთ ერთმანეთსა
დღეს ყველანი ვართ ჩვენ ძმები.

ჩვენ შუაზე უნდა გავყოთ:
მთელი ჭირი, მთელი ელდა,
თქვენ თუ კუჭები გაგონმათ
ჩვენ ხომ ჯიბეც შეგვითხელდა.

ვის რათ უნდა ჩვენი ზურნა,
არღანი და დიმბლიბიტო,
თუ არა აქვს ჩაყლაპული,
ბოთლი ღვინო, მაინც თითო.

მოითხოვეთ, ხალხნო, ერთათ,
რომ ღვინო იყიდებოდეს
და დუდუკი ქველებურათ
ეშვში, ჰანგებში კვდებოდეს.

მიკიტანი. მართალია, ვაშა, ვაშა!
დაიყვირეთ, ხალხნო, პრავა!
თუ ყველანი ერთათ ითხოვთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.

იზვოშჩიკი. ჩვენც მხარს გიქერთ,
მეგობრებო,
მეტლენი ქალაქისა,
რაც რომ ღვინო გადავარდა
სულ მთლათ დაგვეფუკა ქისა.

ფხიზელი და დარღიმანდი
ვის უნახავს, ვის შეჰყრია,
რედასტორ და გაზურჩიკში
სასარგებლო სთქვით, რა ჰყრია?

აღარ არის ქველებური:
ხეირი და გამორჩენა

და ამიტომ გიერთდებით,
ყველა მეეტლენი თქვენა.

მიკიტანი. მართალია, ვაშა, ვაშა!
დაიყვირეთ, ხალხნო, პრავა!
თუ ყველანი ერთათ ითხოვთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.

კარმანშჩიკი. ყველა თქვენსას ამბობთ,
ძმებო,
მოისმინეთ ერთი ჩვენი,
თქვენ ხუმრობა არ გეგონოთ,
გიოთენდება შავი დღენი!

მშერია იზეოშჩიკი,
მეზურნე და არღანშჩიკი,
მაგრამ რატომ არ იკითხავთ
რა დღეშია „კარმანშჩიკი“?
კარგათ იცით რომ ფხიზელსა
ჯიბეს მაგრათ უდევს ხელი,
ვერ კუდგებით თითო ჩავყოთ,
ასწანათ არის ძნელი.

ეს რა გვიყო ამ ერთობამ,
გაგვითენა შავი დილა,
უდევინობა ქვეყანაზე
სად თქმულა, სად გაგონილა?

მიკიტანი. მართალია, ვაშა, ვაშა!
დაიყვირეთ, ხალხნო, პრავა!
თუ ყველანი ერთათ ითხოვთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.

თაფჯდომარე. (ორატორებს)
მოვითხოვოთ და ვიყვიროთ,
შევარყიეროთ ქვეყნის ბჟენი.
გთხოვთ კრებას წარმოუდგინოთ
რეზოლიუცია თქვენი.

ყლაპაძე. ვინ არ იცის შავი ღვინით
გული როგორ ცხრება, სტებება,
ბატონებო, გთხოვთ ჩემ სიტვებს
მიაქციოთ ყურადღება.

ლოთები. (ერთად) დიახ, დიახ, შავი ღვინო,
იმან იყის შეება, ლხენა,
გაუმარჯოს იმის დაწურს,
იმას ვენაცვალეთ ჩეენა.

ულაპაძე. ბატონებო, კარგათ იცით,
მაგრარა ყურძნის წვენი,
ცოტა ესთხოვოთ პრავიტელსტვას,
რომ არც ის დარჩეს ნაწენი,

ცოტას რომ ესთხოვთ, მე მგონია,
თანაგრძნობა მოვიპოვოთ,
ჯერჯერობით დღეში კაცზე
სამი ბოთლი მოვიპოვოთ.

ლოთები—მართალია, ყლაპაძეჯან,
შენგნით ველით, ძმობა, შევლას,
კარგი არის, ჩინებული,
სამი ბოთლი დღეში ყველას!

მიკიტანი—ეხ, რას შერებით, გონზე მოდით,
ნუ სტყუვდებით, ხალხნ ჰქუმი,
ჩემი აზრით ნადა ბუდიტ
ეშჩო ბოლში პატრებუიტ.

შევარცხვინე ისეთი სმა,
თუ ვერ იგრძნობს: სული, გული,
არ გნდათ რომ დაასველოთ
კუში გამხმარ გაფიტული?

მეზურნე—თუ რომ საქმეს ვკიდებთ ხელსა,
ისე ვქნათ რომ ლირდეს შრომათ,
რაც მეტია ის აჯობებს,
მოვითხოვოთ ბარეშ ბლომათ.

შიკიტანი—მართალია, ვაშა, ვაშა!
დაიყიორეთ, ხალხნ, პრავა!
ყველანი თუ ერთათ ითხოვთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.

ყლაპაძე—მე ვშიშობ რომ არ დავმრცხდეთ,
ოოჩემ მე რა მენალვლება,

თქვენზე ნაკლებ, ბატონებო,
ღვინო არც მე მენატრება.

ლ-ბი—ბლომათ, ბლომათ მოვითხოვოთ,
რაც მეტია არის კარგი...

მიკიტანი—ეგრე, ეგრე, გენაცვალეთ,
შევისრულოთ დანაკარგი!

თავმჯდომარე—ბატონებო, გაიგონეთ,
უური მიგდეთ, იყოს სმენა,
ისე ნარდათ მოვითხოვოთ
ამას ამბობთ მგონი თქვენა?

ლოთები—დიახ, დიახ ბლომათ გვინდა,
გვიხსენოთ ძველი რჯული,
შემოვებახოთ ბაიათი
და ვახაროთ ჩვენი გული.

მიკიტანი—მართალია, ვაშა, ვაშა!
დაიყიორეთ, ხალხნ, პრავა!
თუ ყველანი ერთათ ითხოვთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.


თავმჯ—მაშ ეგრე ვქნათ, ბატონებო,
აყისრულოთ ჩვენ სურვილი,
ვეცდები რომ გავმარჯვო
და მოგიკლათ თქვენ წყურვილი.

ჯერ ჯერობით დავიშალოთ
და დაგხუროთ ჩვენი კრება,
მერე ყველას მოგასხენებთ,
თუ ჩვენ თხოვნას რა მოყვება.

უველანი—გაუმარჯოს თავმჯდომარეს,
გულუხესა და ბარაქიანს,
გაუმარჯოს წითელ ღვინით
საგსე ლამაზ ჩარექიანს!

მიკიტანი—ეგრე, ეგრე, გენაცვალეთ,
დაიძახეთ: პრავა, პრავა!
ყველა ერთათ რომ იყვირებთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.

ნაშთი



— აი რა დარჩება უკანისკნელი ტირანისაგან!..